მე-7 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1. შემოხაზეთ ზმნა, რომელიც შეიცავს ირიბ ობიექტს:

   ა. გაინავარდეს ბ. მოგვგვარე გ. დაიწყეს

2. გარდამავალი ზმნაა:

   ა. ებადება ბ. შეუკერავს გ. დგებოდა

3. შემოხაზეთ ბრძანებითი კილოს ფორმა:

   ა. ,,არ დახურო, არ დახურო, საინტერესო ნახატებია!"

   ბ. ,,წუხელი ღამით ქარი დაქროდა."

   გ. ,,არ გინდა? სამახსოვროდ არ წაიღებ?"

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

   ,,იმავ დღეს მოხუც კაცს შინ ერთი ჭაბუკი _____ ."

   ა. ეწვივნენ ბ. ეწვია გ. ეწვიათ

5. ,,დაედითება" ქართულად არის:
   ა. წაშლა ბ. გათიშვა გ. ჩასწორება
6. რა ჰქვია ნაწარმოებს, რომლის მთავარი პერსონაჟი ბუზებს ითვლიდა?

   ა. ,,კაცია-ადამიანი?!" ბ. ,,ბაში-აჩუკი" გ. ,,გმირთა ვარამი"

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

ჩხიკვი და მტრედები

ერთმა ჩხიკვმა სამტრედეში შეიხედა და ნახა, მტრედებს გვარიანად ასმევ-აჭმევდნენ. ადგა, მტრედისფრად შეიღება და სამტრედეში შეფრინდა, იქნებ მეც მერგოს რამეო. სანამ ჩხიკვი ხმას ამოიღებდა, მტრედებს ისიც მტრედი ეგონათ და თავისიანად იგულვებდნენ. მაგრამ, ერთხელ, როგორც კი მტრედობა გადაავიწყდა და წამოიჩხავლა, მტრედებმა ერთი წიოკობა ატეხეს და სულ ცემით გამოაგდეს სამტრედედან. მშიერ-მწყურვალ ჩხიკვს რაღა დარჩენოდა?! ადგა და ისევ ჩხიკვებთან დაბრუნდა, მაგრამ ახლა თავისიანებმა იუცხოვეს სხვაფრად შეღებილი მოძმე და გააგდეს.

7. როგორ გესმით ,, გვარიანად ასმევ-აჭმევდნენ."

   ა. კარგად კვებავდნენ. ბ. კარგ გალიაში იყო. გ. საკვების მიღებას აძალებდნენ.

8. რა სურვილი გაუჩნდა ჩხიკვს?

   ა. მტრედებთან ერთად უზრუნველად ეცხოვრა.

   ბ. მტრედები გაეძევებინა სამტრედედან.

   გ. მტრედები ,,ჩხიკვისფრად" შეეღება.

9. როგორ აღმოჩნდა ჩხიკვი სამტრედეში?

ა. მტრედებმა დაპატიჟეს.

ბ. ერთ-ერთ მტრედს დაუმეგობრდა და მან მიიწვია საცხოვრებლად.

გ. მოტყუებით შეაღწია მათთან.

10. ,,თავისიანად იგულვებდნენ“ იგივეა, რაც:

ა. ეჭვის თვალით უყურებდნენ.

ბ. არ უყვარდათ.

გ. თავიანთ მოკეთედ თვლიდნენ.